ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №320023

ნომერი: AR172969

თარიღი : 13.08.2012

გაცემის თარიღი : 03.09.2012

გაცნობის თარიღი : 06.09.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ალ. ყაზბეგის გამზირსა და მიცკევიჩის ქუჩას შორის;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ვაჟა ნადირაშვილი პ/ნ 01024035369
- ბახტრიონის ქ.#13

ორგანიზაცია:
- ამხანაგობა ,,საბურთალო 2006" კოდი: 205243823

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 30 ივლისის #287371 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2012 წლის 13 აგვისტოს #არ172969 განცხადებით მომართა მოქ. ვაჟა ნადირაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 30.07.2012წ. #287371 ბრძანებაში ცვლილების შეტანა, კერძოდ : საპროექტო შენობის ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების გამიჯვნა.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2012 წლის 30 ივლისის #287371 ბრძანებით ქ. თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზირისა და მიცკევიჩის ქუჩას შორის მდებარე მიწის ნაკვეთზე შეთანხმება მრავალფუნქციური კომპლექსის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართა. კორექტირება წარმოდგენილი პროექტის თანახმად ეხება მხოლოდ მრავალფუნქციური კომპლექსის ნაწილს – ერთ სართულიან #3 შენობა–ნაგებობას და შესაბამისად მშენებლობის ორგანიზაციის პროექტით სამშენებლო სამუშაოების გრაფიკი წარმოდგენილი იქნა მხოლოდ მეორე ეტაპით გათვალისწიენბულ – ერთ სართულიან #3 შენობის სამშენებლო სამუშაოებზე. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი განმარტებითი ბარათის თანახმად სამშენებლო სამუშაოები გაყოფილია ორ ეტაპად პირველი ეტაპის სამშენებლო სამუშაოებში შედის ცალკე მდგომი თვრამეტ სართულიანი საცხოვრებელი და ოთხ სართულიანი საოფისე კორპუსის მშენებლობა. ხოლო, მეორე ეტაპის სამუშაოებს განეკუთვნება ცალკე მდგომი, დამოუკიდებელი საძირკვლის მქონე, ერთ სართულიანი #3 შენობის მშენებლობა. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი იქნა საპროექტო შენობა–ნაგებობების გამიჯნული ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები, რომელთა ჯამი შეესაბამება სამსახურის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში დაფიქსირებულ საერთო ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებს.
„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად შენობა-ნაგებობისექსპლუატაციაში მიღება შესაძლებელია, თუ წარმოებული მშენებლობის შედეგად შესრულდა და არ არის დარღვეული სანებართვო პირობებით განსაზღვრული ვალდებულებები. შენობა-ნაგებობების კომპლექსის დამოუკიდებლად ფუნქციონირებადი ობიექტ(ებ)ი, რომელთა მშენებლობაც დასრულებულია სანებართვო პირობების შესაბამისად, შესაძლებელია ვარგისად იქნეს აღიარებული.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდესის 63-ე მუხლის თანახმად ადმინისტრაციულ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ცვლილება შეიტანოს ზემოაღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სმართლებრივ აქტში მრავალფუნქციური კომპლექსის საერთო ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების გაყოფასთან დაკავშირებით.
ზემოაღნშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდესის 63-ე და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად,

ვბრძანებ,

1. ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 30 ივლისის #287371 ბრძანებაში საპროექტო შენობის ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

18 სართულიანი საცხოვრებელი კორპუსი და 4 სართულიანი საოფისე კორპუსი.

ტექნიკურ_ეკონომიკური მაჩვენებლები:
- მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ) 3348
- განაშენიანების ფართობი (კვ.მ) 1746,5
- საერთო ფართობი (კვ.მ) 13677
- საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ) 7611,7

• საოფისე ფართობი (კვ.მ) 1119,3
• კომერციული ფართობი (კვ.მ) 367,9
• საზაფხულო ფართობი (კვ.მ) 1612,6
• კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ) 1771,9
• დამხმარე ფართობი (კვ.მ) 139
• ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ) 1054,6
• სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ) 50870,8
• 0,00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ) 43653,8
• 0,00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ) 7217
• შენობა_ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ) 68,7
• 0,00 ნიშნულის ზევით (მ) 63,7
• 0,00 ნიშნულის ქვევით (მ) 5,0
• კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში) 1889,9 (კ1=0,6)
• კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში) 11770,1 (კ2=3,5)
• კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში) 271,9 და 0,1

ერთ სართულიანი კორპუსი #3

ტექნიკურ_ეკონომიკური მაჩვენებლები:
• განაშენიანების ფართობი (კვ.მ) 143,4
• საერთო ფართობი (კვ.მ) 960,8
• საოფისე ფართობი (კვ.მ) 106,1
• საზაფხულო ფართობი (კვ.მ) 15
• ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ) 839,7
• სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ) 3312,2
• 0,00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ) 541,2
• 0,00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ) 2771
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 30 ივლისის #287371 ბრძანებასთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მის.: ჟ. შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.